

სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა საერთო კრების მოწვევისა და
ჩატარების პროცედურებზე ქართულ საკორპორაციო სამართალში

თეონა სუდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე კერძო-ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების გავლენას საერთო კრების მოწვევასა და ჩატარების პროცედურებზე. სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობაში სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. თუმცა კანონმდებლობის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მისი მნიშვნელობაც.

სამწუხაროდ, ქართული სამართალი და მასში მოღვაწე პირები არ არიან განებივრებულნი სამართლის ლიტერატურით. თითზე ჩამოსათვლელად გვაქვს საკანონმდებლო აქტების განმარტებები, წიგნად გამოცემული. ამის ძირითად მიზეზად ფინანსური რესურსების არქონა სახელდება. შესაბამისად ის ლიტერატურა რაც გაგვაჩნია ხშირად მოძველებულია და ვეღარ გამოდგება რომელიმე კონკრეტული კანონის, კონკრეტული მუხლის განსამარტად. ამასთან ჩვენი კანონმდებლობა ყოველდღიურად ვითარდება რაც იწვევს მასში ცვლილებების შეტანას. ამიტომ ერთ წელს დაწერილი ნორმატიული აქტის განმარტება/კომენტარი შემდეგ წელს შეიძლება ნაწილობრივ გამოუყენებელი გახდეს. ჩვენს სახელმწიფოს კი სამწუხაროდ არ აქვს იმისი რესურსები რომ ყოველწლიურად ახალი კომენტარი გამოსცეს. სწორედ ამიტომ სამართალსუბიექტები ნორმატიული აქტების კონკრეტული მუხლის განმარტებისას თავის არგუმენტს სასამართლო გადაწყვეტილებებით ამყარებენ, რამაც სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა კანონმდებლობაზე კიდევ უფრო გაზარდა.

Abstract

The Previous labour is about court decisions influence on general meeting's invitation and hold a process. Court's decisions in the Georgian legislation have a recommendatory character. But as legislation developed even it's importance increased.

Unfortunately, Georgian justice and it's members aren't pampered of judicial literature. We have a little amount of explanation of Legislative acts, which are published as a book. The main reason of this situation is financial problems. Accordingly, our literature is old enough and useless for explanation of specific law or paragraph. Also our legislation is developing daily and it causes making a changes. Because of the reason, normative act's explanations/comments, which are written in this year, becomes useless next year. Unfortunately, our government doesn't have enough resources to publish new comments every year. Because of this situation, when persons of law explains specific paragraph of normative act's, they make stronger their decision with court's verdicts. It caused to be increased court's decisions influence on legislation.